არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი

წესდება

თავი I. ასოციაციის სტატუსი და მიზნები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი (შემდგომში აკადემია) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არაკომერციული იურიდიული პირი, ხოლო სრული სახელწოდებაა საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი.

1.3. აკადემია დაფუძნდა განუსაზღვრელი ვადით და წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.4. აკადემია თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.5 აკადემიის იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის #9 .სად.2 ბინა #158, ბლოკი"ბ".

1.6 აკადემიის ელექტრონული ფოსტის მისამართია bdc.academy@gmail.com.

1.7 აკადემიას შესაძლოა ჰქონდეს ბეჭედი, რომელიც არ წარმოადგენს სავალდებულოს ორგანიზაციის წარმომადგენლობის განხორციელებისას.

1.8 აკადემია თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. აკადემიის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. აკადემიის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების

მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს აკადემია საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

მუხლი 2. აკადემიის მიზნები და საქმიანობა

2.1 საზოგადოების საქმიანობის მიზნები :

1. დისტანციური სწავლების დანერგვა/გავრცელება

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების ხელშეწყობა.

3. ინკლუზიური სწავლების განვითარება .

4. საგანმანათლებლო სფეროში კადრების მომზადება -გადამზადება , (ტრეინინგები)

5. სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება .

2.2 აკადემია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს აკადემიის რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება აკადემიის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

2.3. აკადემიის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება აკადემიის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

თავი II. აკადემიის დამფუძნებლები

მუხლი 3. აკადემიის დამფუძნებლები

3.1 აკადემიის დამფუძნებლები არიან:

1. ნათია შათირიშვილი პ/ნ.46001001469 საცხოვრებელი ადგილი გლდანის რ/ნ 4 მკ. 110 ა კორპუსი. დაბადების თარიღი –1980.01.01

2. ვლადიმერ ყორღანაშვილი პ/ნ 01001097676 მისამართი– თბილისი გლდანის რ/ნ 4 მკ. 110 ა კორპუსი. დაბადების თარიღი 2002.11.02

თავი III. ასოციაციის მმართველობითი ორგანოები

მუხლი 4. უმაღლესი მმართველობითი ორგანო

4.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელთა საერთო კრება;

4.2 დამფუძნებელთა კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც.

4.3. დამფუძნებელთა კრება გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზაციის ყველა ძირეულ საკითხთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება ნამდვილია, თუ საკითხი კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი.

4.3. დამფუძნებელთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ კრებას ესწრება ორი დამფუძნებელი მაინც.

4.4. დამფუძნებელთა კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

4.5. იმ დამფუძნებელებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კრებას, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე დამფუძნებლებსს.

4.6. დამფუძნებელთა საერთო კრების უფლებამოსილებანი:

- იღებს ორგანიზაციის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;
- იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;
- ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს;
- წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით სხვა ორგანოთა უფლებამოსილებებს არ განეკუთვნება.

მუხლი 6. ორგანიზაციის თავმჯდომარე

6.1. ორგანიზაციის თავმჯდომარე უძღვება დამფუძნებელთა კრებას .იგი არის ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

6.2. ორგანიზაციის თავმჯდომარე აირჩევა დამფუძნებელთა კრების მიერ ხუთი წლის ვადით.

6.3. ორგანიზაციის თავმჯდომარე:

- ხელმძღვანელობს ორგანიზაციის ყოველდღიურ მუშაობას;
- იწვევს სამუშაოზე შრომით ხელშეკრულების საფუძველზე მუშაკებს;
- ხელს აწერს ორგანიზაციის სახელით დადებულ ხელშეკრულებებს, გარიგებებს, კონტრაქტებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში;
- ხელს აწერს ორგანიზაციის ოფიციალურ და ფინანსურ დოკუმენტებს;
- ახორციელებს ორგანიზაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე;
- ხელმძღვანელობს განსახორციელებელ პროგრამებს;
- ამტკიცებს ორგანიზაციის პროგრამების კოორდინატორთა კანდიდატურებს.

6.4. თავმჯდომარეს ენიჭება ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ერთპიროვნულად.

6.5. ორგანიზაციის თავმჯდომარეა ნათია შათირიშვილი პ/ნ.46001001469 საცხოვრებელი ადგილი გლდანის რ/ნ 4 მკ. 110 ა კორპუსი. დაბადების თარიღი – 1980.01.01

თავი IV .დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შირის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ნინო ჭელიძე

(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)
(ხელმოწერა)

ვლადიმერ ყიფლიანაშვილი

(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)
(ხელმოწერა)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №489
თარიღი 30 მაისი 2025
გვ.რაოდენობა 5 ხელმოწერა
ბუთი

სტრო
.ნინო